603 ~ 11861

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

30.IX—7.X, 1994 წ. • №33 (10901)

ფასი 200 000 კუპონი, ან 200 რუბლი.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




## ცნობები ტილბურგიდან

ჭადრაკი. მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი.

XI ტური. იოსელიანი — ჩიბურდანიძე 0,5:0,5, კრამლინგი (შვეცია) — პოლგარი (უნგრეთი) 0:1, ფოიშორი (რუმინეთი) — მარიჩი (იუგოსლავია) 0,5:0,5, პენგი (ჩინეთი) — გალიამოვა (უკრაინა) 1:0.

XII ტური. გალიამოვა — მარიჩი 1:0, პოლგარი — ფოიშორი 0,5:0,5, იოსელიანი — კრამლინგი 0:1, არახამია — ჩიბურდანიძე 0:1.

XIII ტური. კრამლინგი — არახამია 0,5:0,5, ფოიშორი — იოსელიანი 1:0, პოლგარი — გალიამოვა 1:0, პენგი — მარიჩი 0,5:0,5.

XIV ტური. პოლგარი — პენგი 0,5:0,5, იოსელიანი — გალიამოვა 0:1, არახამია — ფოიშორი 0:1, ჩიბურდანიძე — კრამლინგი 0,5:0,5.

XV ტური. ფოიშორი — ჩიბურდანიძე 0:1, გალიამოვა — არახამია 1:0, პენგი — იოსელიანი 0,5:0,5, პოლგარი — მარიჩი 1:0.

XVI ტური. გალიამოვა — ჩიბურდანიძე 0,5:0,5, პენგი — არახამია 0,5:0,5, მარიჩი — იოსელიანი 0,5:0,5.

მდგომარეობა 16 ტურის შემდეგ: პოლგარი — 9,5 (14), ჩიბურდანიძე — 9 (14), გალიამოვა — 8 (14), პენგი — 7,5 (14).

ტურნირის დამთავრებამდე დარჩა ორი ტური, რომლებშიც პოლგარი იოსელიანსა და არახამიას უნდა შეხვდეს, ჩიბურდანიძე — პენგსა და მარიჩს, გალიამოვა კი კრამლინგსა და ფოიშორს.

„ლელოს" 60 წლისთავი, ქართული სპორტული პრესის დღე და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის 35 წლისთავი ამ დღეებში ერთდროულად აღინიშნა. ყველამ, ვინც თბილისის მოსწავლეთა სასახლის დარბაზში შეიკრიბა, ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ სპორტული პრესა უყვართ ჩვენში და პატივსაც ღირსეულად მიაგებენ. ჩვენმა კოლეგებმა გაზეთ „სარბიელში" (27.09.94 წ.) თბილად და ვრცლად გააშუქეს ეს მოვლენა, ლელოელებს კი ერთგვარი უხერხულობა მოგვიხსნეს, გველაპარაკა საკუთარ თავზე.

ჩვენი გაზეთის პირველი რედაქტორის მ.კაკაბაძის სახელობის პრემია (დააწესა სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ, პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი) ამ დღეს გადაეცა „ლელოს" ყოფილ რედაქტორს არჩილ გოგელიას (სურათზე მარცხნივ) და ფოტოჟურნალისტს ალექსანდრე კოტორაშვილს. მათ გარდა, ჯილდოები მ.კაკაბაძის გამოსახულებით მიიღეს გაზეთმა „სარბიელმა" და „ლელომ", სამახსოვროდ კი იგი გადაეცათ თბილისში საგანგებოდ ამ დღისთვის სტუმრად ჩამოსულ გერმანელ კოლეგებს.





ევროპის საკლუბო ტურნირები ფეხბურთში • უეფას თასი

# გათამაშებას გამოეთიშა

უეფას თასის გათამაშების ოცდამეთოთხმეტედფინალის განმეორებითი მატჩი. 27 სექტემბერი. ინსბრუკი. „ტიროლი" (ინსბრუკი, ავსტრია) — „დინამო" (თბილისი, საქართველო) 5-1.

მსაჯი: იანუსი (თურქეთი).

„ტიროლი": კოხი, ჰარტმანი, ვაცინგერი, შტრაიტერი, ფიოლგერი, კირხლერი, ჩერნი, მიოლიხი, დანეკი (იანიშიტსი), შტოიგერი, სანე (ბრუნდლო); „დინამო": ზოიძე, ნემსაძე, ლობჟანიძე, რევიშვილი (კიკნაძე), ინალიშვილი, რ.არველაძე, ქინქლაძე, ა.არველაძე, ჯამარაული (ანჩაბაძე), ყაველაშვილი, შ.არველაძე.

გოლები: ჩერნი (2 წთ.), დანეკი (33,55), ჰარტმანი (37), შ.არველაძე (38), იანიშიტსი (87).

გააფრთხილეს ქინქლაძე და ჯამარაული.

იმ კატეგორიის მატჩებში, რომლებიც უეფას თასის გათამაშებას განეკუთვნება, არსებობს დაუწერელი კანონი: პირველი შეხვედრის მოგება შინ, საკუთარ მინდორზე სულ ცოტა ორი ბურთის სხვაობით. ანგარიშით 1-0 გამარჯვება კი ერთობ არასაიმედო, საეჭვო შედეგია.

სწორედ ამ საეჭვო შედეგით (1-0) ჰქონდა მოგებული თბილისის „დინამოს" პირველი მატჩი შინ, მაგრამ განა მარტო შედეგშია საქმე? იმ დღეს დინამოელებმა ისეთი საგრძნობი უპირატესობით ითამაშეს „ტიროლთან", რომ ინსბრუკში გამგზავრებას და საპასუხო შეხვედრას გარკვეული, დასაბუთებული იმედით მოველოდით.

ეს საპასუხო მატჩიც შედგა და, პირდაპირ უნდა ითქვას, ყველანი განბილებული, იმედგაცრუებული ვართ. შესაძლოა წაგვეგო, შესაძლოა თბილისში გატანილ იმ ერთადერთ გოლს მეთექვსმეტედფინალის საგზური ვერ მოეტანა, მაგრამ 1-5? ეს მეტისმეტი იყო, მეტისმეტი და მოულოდნელი.

თანაც პირველი 30-35 წუთის განმავლობაში მოედანზე სულაც არ იგრძნობოდა, რომ დინამოელებს წინ ასეთი მარცხი ელოდათ. ჩერნის მიერ პირველივე წუთებზე გატანილი ბურთის მერე ორივე გუნდი თანაბარი უპირატესობით იბრძოდა, სახიფათო მომენტები მასპინძელთა კართანაც იქმნებოდა. ყველაფერი, თითქოს, წესრიგში იყო...

მაგრამ დანეკის მიერ გატანილი მეორე გოლის შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. შესვენების შემდეგ „დინამომ" ერთიანად დათმო ყველაფერი, შეტევაშიც, შუა მინდორშიც, ხოლო, რაც შეეხება დაცვაში დაშვებულ შეცდომებს, მათ უკვე საანეკდოტო ხასიათი ჰქონდა. ვერაფერს ვერ ამართლებს ის, რომ ამ დღეს დინამოელთა რიგებში არ იყო შელია. ერთი კაცის დანაკლისმა, რაგინდ საგრძნობი უნდა იყოს იგი, ასეთი ქაოსი და არევ-დარევა არ უნდა გამოიწვიოს მის პარტნიორთა შორის. სამწუხაროდ, ასე კი მოხდა.

„ტიროლი" — „დინამოს" მეორე მატჩის ვიდეოჩანაწერის ხილვამ ერთობ შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე, ვინც კი თბილისის „დინამოს" ქომაგი და თაყვანისმცემელია.

ევროპის საკლუბო ტურნირები კალათბურთში

## ლილიან რონკეტის თასი

თბილისი, სპორტის სასახლე, 28 სექტემბერი.

„მეობა" (ქუთაისი) — „ნილენა" (კიევი) 62:75 (40:41)

„მეობა": ჩეკურიშვილი (22), კომლაძე (18), ომიაძე (8), კუპრაშვილი (8), კუპატაძე (6), ქერდიყოშვილი, ბლიაძე.

„ნილენა": პივოვაროვა (14), ხილკო (14), სვირიდოვა (13), მატვეევა (13), ფედჩენკო (7), ევტუშენკო (7), ფილოზოფი (3), გალიულინა (2), შუმსკაია (2), დეხტიარენკო.

მსაჯები: ი.ბრაზაუსკასი (ლიტვა) და ე.მეცალუ (ესტონეთი).

## ფეხბურთი • საქართველოს თასზე

28 სექტემბერი, 1/16 ფინალის განმეორებითი მატჩები

„ეგრისი" (სენაკი) — „დილა" (გორი) 1-2
„სამტრედია" (სამტრედია) — „კოლხეთი-1913" (ფოთი) 2-0
„კახეთი" (თელავი) — „ჟინვალი" (ჟინვალი) 3-0
„ქიზიყი" (წნორი) — ასკ (თბილისი) 4-2
„მეტალურგი" (რუსთავი) — „მარგვეთი" (ზესტაფონი) 3-0
„საპოვნელა" (თერჯოლა) — „ჭაბუკიანი" (ჭაბუკიანი) 3-0
„შირაქი" (დედოფლისწყარო) — „ივერია" (ხაშური) 0-4
„გურია" (ლანჩხუთი) — „სიონი" (ბოლნისი) 3-0
„შევარდენი-1906" (თბილისი) — „დინამო" (ზუგდიდი) 1-2
„დურუჯი" (ყვარელი) — „მესხეთი" (ახალციხე) 4-0
„სამგურალი" (წყალტუბო) — „დინამო" (ბათუმი) 0-3
„ტორპედო" (ქუთაისი) — „მეშახტე" (ტყიბული) 6-1
„იბერია" (თბილისი) — „აზოტი" (რუსთავი) 0-2
„ანცი-ზოოვეტი" (თბილისი) — „მერანი-91" (თბილისი) 3-2

ამრიგად, თასის გათამაშების 1/8 ფინალში გავიდნენ: „დილა", „სამტრედია", "კახეთი", „ქიზიყი", „მეტალურგი", „საპოვნელა", „ივერია", „გურია", „დინამო" (ზუგდიდი), „დურუჯი", „დინამო" (ბათუმი), „ტორპედო", „იბერია", „ანცი-ზოოვეტი". თბილისის „დინამო" შეჯიბრებაში მეოთხედფინალიდან ჩაერთვება.

# ვაჟა გოგიაშვილი: «მსოფლიო ჩემპიონატში ორი პრიზიორი 1983 წლის შემდეგ არ გვყოლია»...



სექტემბრის პირველ ნახევარს ტამპერეში (ფინეთი) გაიმართა მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 48 ქვეყნის 284-მა ათლეტმა. საქართველო ამ ასპარეზობაში წარმოდგენილი იყო ექვსი მოჭიდავით (არასრული გუნდით), რომელთაგან ერთმა — ბაკურ გოგიტიძემ ვერცხლის, მეორემ — გელა პაპაშვილმა კი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. სანამ ჩვენი მოჭიდავეების გამოსვლებზე უფ[illegible] დეტალურ საუბარს დავიწყებთ, გაგაცნობთ საერთო გუნდურ და პირად შედეგებს, აგრეთვე მედლების განაწილების ნუსხას.

გუნდური შედეგები. 1. რუსეთი — 69 ქულა, 2. უკრაინა — 50; 3. პოლონეთი — 44, 4. ბულგარეთი — 35, 5. გერმანია — 30, 6. კუბა — 29, 7-9. ბელარუსი, ფინეთი, აშშ — 28-28 ქულა, 10. საქართველო — 22.

პირადი ადგილები. 48. კგ: 1. ჰ. სანჩესი (კუბა), 2. ა.პავლოვი (ბელარუსი), 3. გ.პაპაშვილი (საქართველო).

52: ა.ტერ-მკრტიჩიანი (გერმანია), 2. ნ.ეივაზოვი (აზერბაიჯანი), 3. ა. კალაშნიკოვი (უკრაინა).

57: 1. ი.მელნიჩენკო (ყაზახეთი), 4. ა.იგნატენკო (რუსეთი), 3. დ.ჰალე (აშშ).

62: 1. ს.მარტინოვი (რუსეთი), 2. ი.ივანოვი (ბულგარეთი), 3. ვ.ზავადსკი (პოლონეთი)... 6. კ.გულიაშვილი (საქართველო).

68: I.ი.დუგუჩიევი (რუსეთი), 2. გ.იალუზი (საფრანგეთი), 3. ბ.გეორგიევი (ბულგარეთი).

74. 1. მ.ისკანდერიანი (რუსეთი), 2. ი.ტრაჩი (პოლონეთი), 3. ტ.კორნბაკი (შვეცია)... ხ.ბიჩინაშვილი (საქართველო) — უადგილოდ, ათეულში ვერ მოხვდა.

82: 1.თ. ცანდერი (გერმანია), 2. ტ.კარილა (ფინეთი), 3. ვ.ცილენტი (ბელარუსი)... მ. ვახტანგაძე (საქართველო) — უადგილოდ, ათეულში ვერ მოხვა.

90: 1. გ.კოღუაშვილი (რუსეთი), 2. ვ.ოლეინიკი (უკრაინა), 3. მ.ბულმანი (გერმანია)... თ.თედორაძე (საქართველო) — უადგილოდ, ათეულში ვერ მოხვდა.

100: 1. ა.ვრონსკი (პოლონეთი), 2. ბ.გოგიტიძე (საქართველო), 3. გ.სალდაძე (უკრაინა).

130: 1. ა.კარელინი (რუსეთი), 2. ე.მილიანი (კუბა), 3. პ. კოტოკი (უკრაინა).

როგორც ხედავთ, რუსეთის მოჭიდავეთა უპირატესობა ამ ჩემპიონატში აშკარაზე აშკარა იყო. მათ ქულებიც ყველაზე ბევრი დააგროვეს და მედლებიც, განსაკუთრებით კი ოქროსი.

იხ. მე-4 გვერდი

# არმენაკ ალაჩაჩიანი — პარკინგის თანამშრომლიდან მილიონერამდე ქართველი მეგობრის დახმარებით

**რამდენი ხმები აღარ ვრცელდებოდა 50-60-იანი წლების განთქმულ კალათბურთელ არმენაკ ალაჩაჩიანზე. ჭორის მოყვარულებმა იგი არაერთხელ გამოასალმეს წუთისოფელს, უფრო „გულკეთილებმა" მრავალგზის დამართეს ინფარქტი, თითქოს იგი, ლატაკი ადამიანი, კანადიდან პანამაში გადავიდა. არავინ იცოდა სინამდვილე საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილ წევრზე და შემდეგ კი ცნობილ მწვრთნელზე. არავინ, ვიდრე ამ ერთი თვის წინათ მოსკოველი კორესპონდენტი ვლადიმირ ტიტორენკო არ შეხვდა მას. საუბარი გამართა ტორონტოში, ალაჩაჩიანის... ოფისში.**

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ გამოირკვა, ალაჩაჩიანს აქვს ფირმა, რომელიც ბრილიანტების ყიდვა-გაყიდვით არის დაკავებული. „ჩვენ ოფისში და ბრილიანტების სამყაროში აღმოვჩნდით" — წერს ტიტორენკო. ალაჩაჩიანის მაგიდაზე იყო ელექტრონული სასწორი ძვირფასი ქვების ასაწონად, პატარა ხელსაწყოები, კალკულატორი, ტელეფონი. კედელზე ფოტოსურათები თვით ალაჩაჩიანის გამოსახულებით, ევროპის 1965 წლის ჩემპიონატი მოსკოვში, სომხეთის დროშა, სპორტული ჯილდოები — ევროპის 1953, 1961, 1963, 1965 წლების ჩემპიონობის მედლები, ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიური ტურნირის ვერცხლის პრიზიორის მედალი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის 8 (!) ოქროს მედალი, მედალი „დიდი სპორტული მიღწევებისათვის".

ახლა კი სიტყვა საბჭოთა ნაკრების 64 წლის ყოფილ მოთამაშეს. ალაჩაჩიანის ვრცელი ინტერვიუდან. პირველი კითხვა ასეთი იყო:

**● რატომ დატოვა 1974 წელს საბჭოთა კავშირი?**

— ყველაფერი კაგებეს ბრალია. ძალიან უნდოდათ, რომ მათთვის მემუშავა. წინააღმდეგ შემთხვევაში საზღვარგარეთ გამგზავრების ნებას არ მაძლევდნენ. [illegible] — ჩემი და კანადაში ცხოვრობდა. თქვენ არასოდეს მიგიქცევიათ ყურადღება — რატომ მოხდა ისე, რომ მოსკოვში 1953 წელს ევროპის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრებში მხოლოდ 8 წლის შემდეგ ვითამაშე? იმიტომ, რომ საზღვარგარეთ გამგზავრების უფლება არა მქონდა, უარს ვაცხადებდი კაგებესთან მეთანამშრომლა.

**● რატომ გაქცევდნენ ორგანოები ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას?**

— იმიტომ, რომ ხუთი ენა ვიცოდი: ინგლისური, ფრანგული, რუსული, სომხური და არაბული. იმიტომ, რომ განთქმული სპორტსმენი ვიყავი. იმიტომ, რომ მთელ მსოფლიოში მრავალი მეგობარი მყავდა. რომ დავთანხმებულიყავი, მართლაც უნიკალური აგენტი გავხდებოდი. დოლარების გადახდასაც კი მპირდებოდნენ, მაგრამ ყოველთვის მტკიცე უარზე ვიყავი.

**● კი, მაგრამ 1963 წელს რაღა შეიცვალა?**

— ცსკას ევროპის ჩემპიონების თასის ფინალში მადრიდის „რეალთან" უნდა ეთამაშა. ეს იყო პირველი, 30 წლის შემდეგ, შეხვედრა გუნდთან ფრანკისტულ ესპანეთიდან. თავდაცვის მინისტრმა გრეჩკომ გამოიძახა ცსკას მწვრთნელი ალექსეევი და ჰკითხა, რა იყო საჭირო მოგებისათვის. ალექსეევმა უპასუხა — აუცილებელია ალაჩაჩიანს საზღვარგარეთ გამგზავრების ნება მიეცეს. გრეჩკო კარგად მიცნობდა, კალათბურთის გულშემატკივარი იყო. მისი კანცელარიიდან ტელეფონით დარეკვის შემდეგ საზღვარგარეთ გასვლის ნება დამრთეს. ესპანეთში ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ მცირე განსხვავებით, შინ მეტი ანგარიშით გავიმარჯვეთ და ორი მატჩის ჯამით თასი მოვიპოვეთ.

**● გრეჩკოს ტელეფონის ზარის შემდეგ მოგეშვნენ?**

— არა, რას ამბობთ? თითქმის ყოველდღიურად მირეკავდნენ, მიბარებდნენ, ძალას მატანდნენ. სულ ერთია, მაინც ჩვენს ხელთ ხარ — როგორც მიიღე საზღვარგარეთის პასპორტი, ისევე უკან დააბრუნებო. 1967 წელს თამაში დავამთავრე და ცსკას მწვრთნელი გავხდი, დაწოლა მაინც არ წყდებოდა. დადგა 1970 წლის თებერვალი. ცსკამ საფრანგეთში ჩემპიონთა თასის ერთ-ერთი მატჩი ითამაშა და მოსკოვში უნდა გამოფრენილიყო. მაგრამ მოულოდნელად თვითმფრინავი ლენინგრადში დასვეს და გუნდს საშინელი შემოწმება მოუწყვეს. ყველას ყველაფერი გადმოუბრუნეს — ბელოვს, ჟარმუჰამედოვს, ანდრეევს, კაპრანოვს, კულკოვს. შემოწმების შედეგად ორი ზედმეტი პაკეტი დარჩა (მაშინ მკაცრად შეზღუდული საგნების შემოტანა შეიძლებოდა). მებაჟეები, ესე იგი, კაგებეს თანამშრომლები, ანდრეევს ემუქრებოდნენ: თქვი, რომ ეს ალაჩაჩიანის პაკეტებია, თუ არა და, საზღვარგარეთ გამგზავრების ნებას დაკარგავო. ანდრეევი ვაჟკაცური ბუნებისა აღმოჩნდა, არაფერი დაუთმო. მაშინ მოსკოვში გრეჩკოს აპარატში წერილი გაგზავნეს, სადაც ამბობდნენ, რომ ცსკას თითოეულ მოთამაშეს 100 000 მანეთის ნივთები მოჰქონდა, მთავარი მწვრთნელი ალაჩაჩიანი კი, გრეჩკოს სახელს ამოფარებული, მოითხოვდა, რომ გუნდის შეჩერება არ გაებედათ. სინამდვილეში კი საერთოდ სიტყვაც არ დამიძრავს. ამრიგად, გრეჩკოს მფარველობა დამთავრდა, კვლავ ამიკრძალეს საზღვარგარეთ გასვლა, პარტიული საყვედურიც მივიღე. ფსიქოლოგიურად გავტყდი, ავად გავხდი. გუნდის დარდი აღარა მქონდა — მისი ბედი აღარ მაღელვებდა. ცსკამ წაგებები დაიწყო და გასაგებია, მალე მწვრთნელის თანამდებობიდან გამანთავისუფლეს.

**● საბჭოთა კავშირში კიდევ სამ წელიწადს რას აკეთებდით?**

— ცოტა ხანს მეორე მწვრთნელად ვიმუშავე, შემდეგ სპორტსკოლაში ბავშვებს ვწვრთნიდი. მაშინ ცხოვრებაში ორი შესაძლებლობა მქონდა: ან მიმეღო ორგანოების წინადადება, ანდა საზღვარგარეთ გადავსახლებულიყავი. მეორე გზა ავირჩიე. იმიტომ, რომ ნორმალურადაც ვერ ვიძინებდი — მეტისმეტად ვნერვიულობდი. დასაწყისისათვის გადავწყვიტე პარტიის რიგები დამეტოვებინა — რამდენიმე თვის განმავლობაში გადასახადს არ ვიხდიდი, შემდეგ რაიკომში მივედი და განვაცხადე, რომ პარტბილეთს ვაბრუნებ. იქ შოკში ჩავარდნენ, ასეთი რამ პირველად გაიგონეს. შემდეგ სკოლაში დარეკეს და მოითხოვეს დაუყოვნებლივ გავეგდე სამსახურიდან. დიდი მადლობა დირექტორს — მან თქვა, რომ ჩემზე პასუხისმგებლობას იღებს. ასე განვაგრძე მუშაობა ბავშვთა მწვრთნელად და დავიწყე მზადება კანადაში გასამგზავრებლად. ვაგროვებდი საბუთებს, ვუცდიდი დის გამოძახებას. ამას მაშინ დიდი დრო სჭირდებოდა. როცა ყველა საბუთი მზად მქონდა და მხოლოდ ხელისუფლების ნებართვა უნდოდა, წერილი მივწერე ბრეჟნევს. ვწერდი, რომ მოსკოვში ნორმალურად ვცხოვრობ, მაქვს ბინა ვოიკოვის რაიონში, გარაჟი, მანქანა, საკმაო შემოსავალი, მაგრამ ყოველივე ამ სიკეთით ვერ ვსარგებლობ, რადგან მთელი ჩემი ნათესაობა კანადაში ცხოვრობს. მათ გარეშე ცხოვრება არ შემიძლია, მინდა გამგზავრება, რათა მათთან ერთად ვიყო. როცა ბრეჟნევმა ნებართვას ხელი მოაწერა, ვერც კი დავიჯერე.

**● პირდაპირ ტორონტოში გაემგზავრეთ?**

— დიახ, მოვეწყვე პარკინგში, ავტომობილისტებს ვემსახურებოდი — ვყიდდი ბილეთებს, მანქანები დამყავდა და შემდეგ კლიენტებს ვაბარებდი. ამავე დროს ვხვეწდი ინგლისურ ენას — სკოლაში დავდიოდი და ამის სანაცვლოდ კანადის მთავრობისაგან თვეში 700 დოლარს ვიღებდი. ჩემმა ცოლმა კი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა. ერთი სიტყვით, ფული გვყოფნიდა, რათა ბინა გვექირავებინა, იმაზე დიდი, როგორიც მოსკოვში გვქონდა. ნახევარი წლის შემდეგ კი ნამდვილად გაგვიღიმა ბედმა — განვადებით ვიყიდე ორსართულიანი სახლი 55 ათას დოლარად, წელიწადში სამი პროცენტის გადახდით, ბავშვებმა სკოლაში დაიწყეს სიარული, 16 წლის გოგონამ უკვე 6 თვეში ექსტერნად ჩააბარა გამოცდები და დიპლომი მიიღო. აი, როგორ კარგად ასწავლიდნენ ადრე საბჭოთა სკოლებში.

**● საბჭოთა კავშირთან რაიმე კონტაქტი გქონდათ?**

— იმ პერიოდში — არავითარი. წერილი მომეწერა მეგობრებისთვის, მეთქვა, რომ პარკინგში ვმუშაობ? თავმოყვარეობა ამის ნებას არ მაძლევდა.

**● არ შეეცადეთ უფრო პრესტიჟული სამუშაო მოგენახათ, ვთქვათ, იმავე კალათბურთთან დაკავშირებული?**

— შევეცადე. ფიზკულტურის მასწავლებლობა მოვინდომე, მაგრამ გამოირკვა, რომ მაშინ სტუდენტებისათვის ლექციები უნდა წამეკითხა ჰიგიენის შესახებ, რაც მე არ შემეძლო. როცა კანადის ქალთა ნაკრებში მწვრთნელის ადგილი განთავისუფლდა, ფედერაციას წერილი მივწერე, ჩემი სამსახური შევთავაზე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. კანადაში ჩამოსვლიდან სულ ორი კვირა იყო გასული, რომ დამირეკა ერთმა ამერიკელმა მწვრთნელმა და აშშ-ში მუშაობა შემომთავაზა. ჩვენ ჯერ კიდევ 1964 წელს დავმეგობრდით, როდესაც ამერიკელები მოსკოვში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ორი ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად, მაშინ იგი აშშ-ს ნაკრებში თამაშობდა. შემდეგ კვლავ შევხვდით ტოკიოს ოლიმპიადაზე. სამწუხაროდ, მის გვარს ვერ ვიხსენებ. იგი ნბა-ს ერთ-ერთ კლუბს წვრთნის, მისი გუნდის მოთამაშე ახლა აშშ-ს ნაკრებში გამოდის.

**● ლერი ბრაუნი „ინდიანიდან"? მოთამაშე რეჯი მილერი?**

— დიახ, ლერი ბრაუნი. წარმოგიდგენიათ, სულ რაღაც ორ კვირაში მომძებნა. მაგრამ მე მის წინადადებაზე უარი ვთქვი. დედაჩემმა ტირილი დაიწყო, აქ ჩამოგვიყვანე და ახლა მარტოებს გვტოვებო.

**● დიდხანს იმუშავეთ პარკინგში?**

— ოთხი წელი. ისე კი, კარგ გასამრჯელოს ვიღებდი, სამუშაო ძალზე უპრესტიჟო იყო — ამას ყველაზე უფრო გონებაშეზღუდული ადამიანები აკეთებენ. მაგრამ შემდეგ ქართველ მეგობარს შევხვდი, რომელსაც კანადაში ოქროს სამკაულების ბიზნესი აქვს, მითხრა: მოდი ჩემთან, გასწავლი, როგორ უნდა იმუშაოო. მასთან დავიწყე მუშაობა, სულ 400 დოლარს მაძლევდა თვეში, მაგრამ მეუბნებოდა, ცოტა მოითმინე, ყველაფერი ასმაგად აგინაზღაურდებაო. ამ მომენტში კვლავ მეტად გამიღიმა ბედმა. მონრეალში ჩემი მეგობარი ცხოვრობდა, მე მას ჯერ კიდევ ეგვიპტიდან ვიცნობდი. მე ხომ წარმოშობით იქაური ვარ. მან მე ერთი მილიონერი გამაცნო, რომელსაც, როგორც გამოირკვა, ტელევიზიით უნახავს ჩემი თამაში მილანში 1966 წელს ჩემპიონების თასზე და გვარიც კარგად დაუმახსოვრებია. ამ მილიონერმა, რომელიც ახლა ლოს-ანჯელესში ცხოვრობს და იმდენი ფული აქვს, რომ არც კი ითვლის, 50 ათასი დოლარი მომცა კრედიტით. ეს ყველაფერი ოქროს სამკაულებად ვაქციე. დავბრუნდი ტორონტოში, ჩამოვიარე საიუველირო მაღაზიები, ჩემს სამკაულებს ვაჩვენებდი და ფასსაც ვასახელებდი. ორ დღეში ყველაფერი გავყიდე, გამოირკვა, რომ 5 ათასი დოლარი გამიკეთებია. ჩემი ბიზნესი ასე დაიწყო: პირველ წელს 250 ათასი დოლარი მოგება დამრჩა. უკვე 15 წელია ამ საქმეს მივდევ. ახლა ჩემი საიუველირო ფირმა ერთ-ერთი ყველაზე უფრო აყვავებულია კანადაში. როგორც ხედავთ, კვლავ კალათბურთმა მიშველა.

**● რის ხარჯზე მიაღწიეთ ასეთ წარმატებას?**

— ჩემი მთავარი პრინციპებია — დაბალი ფასი, პატიოსნება, სერვისი.

საქონელს ბითუმად, ნარდად ვყიდი, დაბალი ფასებით, რაც საშუალებას მაძლევს კაპიტალი სწრაფად ვატრიალო. საგადასახადო ინსპექციას არასდროს ვუმალავ ჩემს შემოსავალს. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა გავიხსენო, რომ პირველ წელსვე 160 ათასი დოლარი გადასახადი გადავიხადე, ჩემი ადვოკატი მეუბნებოდა: რას აკეთებ, წაიღე შენი ფული და აშშ-ში გადაბარგდი! მაგრამ დარჩენა ვამჯობინე. ვზრუნავ ჩემს კლიენტებზე. ადრე ასეც მომხდარა — მანქანაში ვჯდებოდი და მთელ საათს ვუნდებოდი მყიდველთან მისვლას, რომელსაც სულ ერთი პატარა ძეწკვი სჭირდებოდა. ამით არაფერი მრჩებოდა, მაგრამ ფირმას იმიჯი ექმნებოდა.

**● თქვენ აგრძელებთ კაპიტალის გაფართოებას?**

— არა, ცოტაოდენი მოვუკელი. ძალზე ძნელია ჩემს ასაკში ისეთივე ტემპით ვიმუშაო, როგორც 15 წლის წინათ. ანდა, რაში მჭირდება კიდევ იმდენი ფული, რომ მოვკვდები, თან ხომ არ გავიყოლიებ! ადრე მუშაობას დილის 9 საათზე ვიწყებდი და საღამოს 5 საათამდე ვაგრძელებდი. ახლა ოფისში 11 საათზე მივდივარ. სამ კვირას ვმუშაობ, მეოთხე კვირას ვისვენებ კარიბის კუნძულებზე ან მონტე-კარლოში;

**● კაზინოში თამაშობთ?**

— არა, არ მიყვარს, იქ ადამიანები ნერვიულობენ, ამის გამო თამბაქოს ეწევიან. ჩემთვის კი ახლა მთავარი ჯანმრთელობაა.

**● რამდენად აფასებთ თქვენს კაპიტალს?**

— მართალი გითხრათ, არ ვიცი. თვეა საჭირო, რომ მთელი ეს ოქრო აიწონოს, ბრილიანტების ღირებულება შეფასდეს. ხომ ხედავთ, ჩემთან ორი მომხიბლავი ქალიშვილი მუშაობს.

**● ჩემი აზრით, ეს ორი საუკეთესო ბრილიანტია თქვენს კოლექციაში.**

— მათ შეუძლიათ ყოველდღიურად კილოგრამი ოქრო ან 50 ათასი დოლარი ღირებულების ძვირფასეულობა მომპარონ, ისე, რომ ვერაფერს შევამჩნევ. მაგრამ ისინი არაფერს კადრულობენ, იმიტომ, რომ ძალიან კარგ ხელფასს ვუხდი. თავიანთ ადგილს უფრთხილდებიან. მე თითქმის აღარა მაქვს საქმე ოქროს ბიზნესთან. ყველაფერს ეს ქალიშვილები აკეთებენ, მათ ვენდობი, საქმეს კარგად უძღვებიან. ჩემთვის ბრილიანტები და ძვირფასი ქვები დავიტოვე. ეს ძალზე კარგი სამუშაოა. ბრილიანტები ხომ მუდმივად არსებობს. მათი ფასი ყოველწლიურად იზრდება. ისე რომ, თუკი ცოტაოდენი ჭკუა გაქვს, კარგი ბიზნესის გაკეთება შეიძლება.

**● რას აკეთებს თქვენი ოჯახი?**

— დასაწყისში ცოლი და ქალიშვილიც ჩემთან მუშაობდნენ. მაგრამ შემდეგ უსიამოვნება მოგვივიდა — ისინი მსაყვედურობდნენ, რომ ძალიან ბევრს ვმუშაობ და საქონელს ძალზე დაბალ ფასებში ვყიდი. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ცოლს გავეყარე. ცოლს და ქალიშვილს ნახევარი მილიონი დოლარი მივეცი. დაე, რაც სურდათ, ის გაეკეთებინათ, თავისი საქმე გაეხსნათ. ქალიშვილს საქმე კარგად წაუვიდა — მისი მაღაზია აქვეა, ერთი სართულით მაღლა. ცოლს შემდეგ სურდა შემრიგებოდა, მეხვეწებოდა, მაგრამ არ შევურიგდი.

**● ვინ გააგრძელებს თქვენს საქმეს?**

— გსურთ მკითხოთ, ვის დარჩება ჩემი ქონება, როცა მოვკვდები? შვილიშვილებს დარჩებათ, მე უკვე დავწერე ანდერძი.

**● გაინტერესებთ, რა ხდება რუსეთში?**

— რა თქმა უნდა. დილის გაზეთების კითხვას მოსკოვური სიახლეების გაცნობით ვიწყებ. იმასაც გეტყვით, რომ რუსეთში უკვე ორჯერ ვიყავი. სამი წლის წინ მხოლოდ 4 დღით. სასტუმროში დღეში 250 დოლარს ვიხდიდი, ნომერში კი ტარაკანები დარბოდნენ. ველარ გავუძელი. მეორედ მოსკოვში სულ ახლახან ვიყავი. სმოლენსკის ფაბრიკაში ბრილიანტების პარტიის შეძენა მინდოდა, მაგრამ ფასები ძალიან ძვირი აღმოჩნდა, ის, რისი შეძენაც მსურდა, რომ მეყიდა, 10 ათას დოლარს დავკარგავდი.

ძალიან განვიცდი ყველაფერს, რაც სომხეთში ხდება. მეგობრებს ვთხოვე, ყველა სიახლე ფაქსით მაცნობონ.

**● აქ კი კედლებზე ჰკიდია ყველა მედალი, რომელიც ძველ დროს გაგონებთ?**

— მარტო ამიტომ არა, ეს ხომ ჩემი ფირმის ჩინებული რეკლამაცაა.

## «ზესხო-94»

კავკასიონზე მდებარე ალპინისტურმა ბანაკმა „ზესხომ" წელს განაახლა მუშაობა და უმასპინძლა მთამსვლელთა ჯგუფს, რომლის ბირთვს შეადგენდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპიური კლუბის (თავმჯდომარე შ.მირიანაშვილი) წევრები.

ხუთდღიანი თეორიული და საერთო ფიზიკური მომზადების შემდეგ ჯგუფი გაიყო 5 გუნდად და თითოეულმა დალაშქრა შემდეგი მწვერვალები: „აილამა" (4-ა სიძნელის კატეგორია), „მაჩხაფარა" (2-ბ კატეგორია), ეს ასვლა მიეძღვნა სერგო ბარლიანის დაღუპვის მე-11 წლისთავს), „თეთრი უცნობი" (3-ა კატეგორია), „ვახუშტი" (2-ა კატეგორია) და მწვერვალი „აილამა" (ურთულესი გზით 6-ა კატეგორია).

მადლობის მეტი რა ეთქმის სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ბერდია გუგავას, რომელმაც ყველაფერი იღონა ამ გაჭირვების ჟამს გაეხსნა ბანაკი. განსაკუთრებით ქების ღირსია სოფელ ზესხოს ახალგაზრდობა, რომელმაც შეინარჩუნა ბანაკის ინვენტარი და ის სტუმარ-მასპინძლობა, სიმშვიდე, რაც წლების განმავლობაში ახასიათებთ აქაურ მაცხოვრებლებს.

დაბოლოს, ვინც დაინტერესებულია მთამსვლელობით, ეწვიეთ „ზესხოს", რომელიც მერმისს უფრო ფართოდ გაშლის მუშაობას.

იარეთ მთებში, მეგობრებო!

ᲘᲐᲛᲖᲔ ᲡᲐᲛᲡᲘᲐᲜᲘ

● ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ვიუწყებოდით უეფა-ს თასის ამასწინანდელ ოცდამეთორმეტედფინალური მატჩი მადრიდის „რეალსა" და ლისაბონის „სპორტინგს" შორის („სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზე) დამთავრდა ესპანელთა მინიმალური უპირატესობით — 1:0. შეხვედრის მსვლელობაში მოხდა მასობრივი ჩხუბი, რომლის შედეგად ბევრი გულშემატკივარი დაშავდა. ეს ინციდენტი განიხილა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ და მადრიდის „რეალი" 6 მილიონი პესეტით დააჯარიმა (40 ათასი დოლარი). საქმე ის გახლავთ, რომ სტადიონის ადმინისტრაციის უყურადღებობისა და გულგრილობის გამო ესპანელი და პორტუგალიელი გულშემატკივრები ერთ ტრიბუნაზე, ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ და სი-




სხლიანი დრამაც, სწორედ ამან გამოიწვია.

● ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ექსრეკორდსმენმა 10 000 მეტრზე რბენაში, ცნობილმა მექსიკელმა სტაიერმა არტურო ბარიოსმა ბოლოს და ბოლოს მიიღო უფლება აშშ-ს მოქალაქე გამხდარიყო. თავისი ქვეყნიდან წასვლა მან გადაწყვიტა მძლეოსნობის ეროვნულ ფედერაციასთან მუდმივი კონფლიქტის გამო. ბარიოს მეუღლე ჰყავს ამერიკელი და შტატებში ცხოვრობს 1991 წლიდან, მაგრამ მოქალაქეობა მხოლოდ 13-წლიანი მომქანცველი მეცადინეობის შემდეგ მიიღო.

● ᲐᲥᲢᲘᲣᲠ სპორტს დაანება თავი ცნობილმა ავსტრალიელმა ველოსიპედისტმა, 36 წლის ფილ ანდერსონმა, რომელიც წლების მანძილზე „მოტოროლას" გუნდის ღირსებას იცავდა „ტურ დე ფრანსში", „ჯირო დ'იტალიისა" და სხვა პოპულარულ ტურნირებში. ანდერსონი დაბრუნდა სამშობლოში და ჩაიბარა ავსტრალიის ველოსიპედისტთა ეროვნული ნაკრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### პირველი ჯგუფი

VI ტური, 23-25 სექტემბერი

„დინამო" (თბილისი) — „შევარდენი-1906" (თბილისი) 5-3

„დურუჯი" (ყვარელი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0-2

„დინამო" (ზუგდიდი) — „ივერია" (ხაშური) 3-1

„სამგურალი" (წყალტუბო) — „მარგვეთი" (ზესტაფონი) 0-1

„კახეთი" (თელავი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1-1

„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „დინამო" (ბათუმი) 2-3

„ტორპედო (ქუთაისი) — „სამტრედია" (სამტრედია) 2-1.

„საპოვნელა" (თერჯოლა) — „დილა" (გორი) 3-0. მსაჯები: მ.მალალურაძე (თბილისი), თ.ასატურიანი, ლ.მიქელაძე (ორივე — სამტრედიიდან).

„საპოვნელა": თევზაძე, ბოჭორიშვილი, გეწაძე, ჭულუხაძე, ხვარეშია, ბუნტური (კუხიანიძე), ჯულელი (ჩინჩალაძე), ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ხურცილავა.

„დილა": სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, გეგეჭკორი, წკრიალაშვილი (რევაზიშვილი), მარეხაშვილი, ციცქიშვილი (მინდიაშვილი), ტაბატაძე, ზურ.ხორგუაშვილი, ზვ. ხორგუაშვილი.

გოლები: გოდერძიშვილი, ხურცილაძე, ქურცაძე.

გააფრთხილეს ჯულელი.

თამაში მასპინძელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა, განსაკუთრებით პირველ ნახევარში, რომელიც მათ ორბურთიანი სხვაობით მოიგეს. თერჯოლელებმა ეფექტური ტაქტიკა აირჩიეს: მინდვრის ნებისმიერი წერტილიდან მაღალი გადაცემები ხურცილავაზე, რომელიც შემდგომში თავით სახიფათოდ უგდებდა ბურთს თანაგუნდელებს საჯარიმო მოედნის სიახლოვეს.

უნდა აღინიშნოს, რომ „საპოვნელა" ამჟამად მძიმე ფინანსურ კრიზისს განიცდის. მიუხედავად რაიონის გამგეობის, კლუბის პრეზიდენტის (ზ.გაბრიჭიძე) მცდელობისა, გუნდს ჯერჯერობით არა აქვს პირობები შექმნილი ნორმალურად წარმართოს საწვრთნელი მუშაობა. გვჯერა, რომ თერჯოლელები ყველაფერს იღონებენ, რათა ფეხბურთი იმერეთის ამ კუთხეში არ ჩაკვდეს.

## თემურ ქეცბაია — საბერძნეთში

პოპულარული ფრანგული ყოველკვირეულის „ფრანს ფუტბოლის" ცნობით, თბილისის „დინამოს" ყოფილი თავდამსხმელი, რომელიც რამდენიმე წელი თამაშობდა კვიპროსზე, ტოვებს ამ ქვეყანას. როგორც ცნობილია, ქეცბაია თამაშობდა „ანორთოსისში". კუნძულზე მან ოთხი სეზონი გაატარა და ევროთასებში 2 გოლი გაიტანა.

ქეცბაიას გადაბირებას ლამობდნენ საბერძნეთის კლუბები, ქართველი ფეხბურთელი ბოლოს და ბოლოს „დაითრია" აეკ-მა. გაზეთში არაფერია ნათქვამი კონტრაქტის პირობებზე — ორთავე მხარე სდუმს.

## გათამაშებას გამოეთიშნენ...

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა (16 წლამდე), როგორც ვიუწყებოდით, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში სლოვენიაში სომხეთის თანატოლებს სძლია ანგარიშით 5-2, მასპინძლებმა კი ამის შემდეგ 4-0 მოუგეს სომხებს.

ყველაფერი გადაწყდა ტურნირის ბოლო დღეს სლოვენია — საქართველოს მატჩში.

ჩვენებმა წააგეს ანგარიშით 1-2 და გამოეთიშნენ ევროპის ჩემპიონატს.

## უფლება არავისა აქვს ილაპარაკოს ჩვენი სახელით!

როგორც ცნობილი გახდა, რესპუბლიკის ფეხბურთის მსაჯთა სახელით ამ ბოლო დღეებში საქართველოს პარლამენტის სპორტის კომისიაში და სპორტის დეპარტამენტში კეთდება უსაფუძვლო, სიმართლეს მოკლებული განცხადებები იმის თაობაზე, თითქოს ჩვენ უკმაყოფილებას გამოვთქვამთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესამეყრილობის მსვლელობით და ვითხოვთ ამ თავყრილობის ბათილად გამოცხადებას.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ფეხბურთის ფედერაციის თაოსნობით 1993 წლის ზაფხულში შეიქმნა რესპუბლიკის ფეხბურთის მსაჯთა ასოციაცია, რომლის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ა.კოკაია, ხოლო გენერალურ მდივნად — რ.მგელაძე. ჩემპიონატის მსვლელობისას ასოციაციის ხელმძღვანელობის უმსგავსო, უზნეო მუშაობით აღშფოთებულმა რესპუბლიკის 78-მა მოქმედმა მსაჯმა (გარდა ერთისა) უნდობლობა გამოუცხადა ასოციაციის პრეზიდენტს და VI ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე თხოვნით მიმართა სფფ-ს, რათა მისი ხელმძღვანელობით მომსახურებოდნენ კალენდარულ მატჩებს.

ვაცხადებთ, რომ სადღეისოდ უკვე გაიმართა გათამაშების ექვსი ტური, რომელმაც რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, დარღვევების გარეშე ჩაიარა. მსაჯებმა პირობა მივეცით ერთმანეთს კეთილსინდისიერად წარვმართოთ საქმიანობა, რასაც შეძლებისდაგვარად ვახერხებთ კიდეც.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უფლება არავისა აქვს ილაპარაკოს რესპუბლიკის მსაჯთა კორპუსის სახელით და არც ბატონ კახი ასათიანს უნდა მიეღო ანგარიშში ერთი მსაჯის ამარა დარჩენილი მსაჯთა „ასოციაციის" განცხადება.

ჩვენ მხარს ვუჭერთ სფფ-ის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას და ერთგულად ვილვაწებთ ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ.

**საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა კორპუსი.**




ფეხბურთში XV მსოფლიო ჩემპიონატის ექო

## «პროგრესი აშკარაა»

მსოფლიოს XV საფეხბურთო ჩემპიონატის თაობაზე უცხოეთის პრესაში მკითხველებს თავიანთ მოსაზრებებს სთავაზობენ ცნობილი მწვრთნელები, სპეციალისტები, ფუნქციონერები, მსაჯები, რომლებიც აღნიშნავენ განვლილი შეჯიბრების დადებით თუ ნაკლოვან მხარეებს, თანამედროვე ფეხბურთის მიღწევებს და სხვა აქტუალურ საკითხებს. გერმანულ ჟურნალ „კიკერში" საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა. მოგვყავს მისი სტატიის მოკლე შინაარსი:

„1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა, თუმცა მისი შთაბეჭდილებები ჯერ კიდევ არ განელებულა. გავა დრო, ობიექტური შეფასება მიეცემა ყოველივე კარგსა თუ უარყოფითს, რაც კი ამერიკის სტადიონებზე მოხდა, თუმცა, ზოგიერთი რამ ახლავეა ცხადი და უდავო.

ეჭვი არაა, რომ განვლილი მსოფლიო ჩემპიონატი უდიდესი მოვლენა გახლდათ მათთვის, ვისაც უყვარს და ვინც პატივს სცემს ამ თამაშს. ჩვენ დიდად კმაყოფილი ვართ იმ აბსოლუტური რეკორდით, რომელიც მაყურებელთა დასწრების თვალსაზრისით დამყარდა მსოფლიო ჩემპიონატზე. ტრიბუნებზე თითქმის არ იყო თავისუფალი ადგილები ისეთ ორდინარულ მატჩებზეც კი, როგორც ბოლივია — სამხრეთ კორეა, შვეცია — კამერუნი ან საუდის არაბეთი — მაროკო. თვით „მცირე ფინალმაც" კი (მატჩი მესამე ადგილისთვის), სხვა ჩემპიონატებზე რომ ბევრი მაყურებელი არ ჰყოლია ხოლმე, აქ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გარკვეული ხნის შემდეგ ერთ-ერთი მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი კვლავ შეერთებულ შტატებში გავმართოთ.

მაყურებელთა ასეთი მასობრივი დასწრების მიუხედავად მათი ქცევის კულტურა მეტად მაღალი იყო. მინდვრებზე დიდი ვნებათაღელვა სუფევდა, ტრიბუნებზე კი მეგობრული განწყობილება იყო, თითქმის არ ყოფილა ხულიგნური გამოხდომების, ურთიერთშეტაკებათა შემთხვევები.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ჩემპიონატის მეტად მაღალი სპორტული დონე, დაძაბულობა, ინტერესი. იგი გაცილებით აღემატებოდა იტალიაში 4 წლის წინათ ნაჩვენებ შედეგს, თუმცა სამწუხარო გამონაკლისს წარმოადგენდა ფინალური მატჩი, რომელმაც აშკარად ვერ გაამართლა მოლოდინი და იმედები.

მსაჯობაში მომხდარმა ზოგიერთმა ცვლილებამ კარგი შედეგი გამოიღო. წმინდა სათამაშო დრო საშუალოდ 7 წუთით გაიზარდა, ფრიად ეფექტური და ნაყოფიერი გამოდგა უხეშობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, თავდამსხმელები დაზღვეული იყვნენ დაცვითი ხაზების ნეგატიური, „ანტისაფეხბურთო" მოვლენებისგან, ამან კი სანახაობრივად გაამდიდრა თამაში.

დამხმარე მსაჯთა სპეციალიზაციამ, რაც პირველად გამოვიყენეთ შტატებში, უდავოდ დადებითი როლი შეასრულა, მინდვრის მსაჯები, არბიტრები თავიანთ თანაშემწეთა კვალიფიკაციას მთლიანად ენდობოდნენ და ეს ნდობა გამართლდა კიდეც.

რა თქმა უნდა, ყველაფერი მთლად ისე კარგად არ იყო, როგორც ჩვენ გვსურდა, ძალიან დაგვწყვიტა გული დიეგო მარადონას ინციდენტმა, ანდრეს ესკობარის საშინელმა მკვლელობამ, მაურიო ტასოტის უხეშობამ, როცა მსაჯმა აშკარა 11-მეტრიანი არ დანიშნა. მაგრამ, ეტყობა, ამგვარ მოვლენებს თავიდან ვერ აირიდებ.

ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ იტალია-90-თან შედარებით აშშ-94 აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯია. პროგრესი ნაღდი და ცხადია."

## ღირსეული ის იყო, ვინც ჩემპიონობა მოიპოვა

არ არის სავალდებულო იყო კომპეტენტური პიროვნება ფეხბურთში და მხოლოდ მაშინ გაბედო საჯაროდ გამოთქვა შენი კონკრეტული თუ ზოგადი ხასიათის მოსაზრებანი. პირიქით, ზოგჯერ საინტერესოც კია ფეხბურთის ჭეშმარიტი თაყვანისმცემლის შეხედულების მოსმენა.

წლევანდელ ჩემპიონატში, ჩემი აზრით, პირველი სენსაცია მერვედფინალურ ზღვარზე მოხდა. სამედიცინო ტერმინით რომ ვთქვათ, სწორედ აქ შეწყდა „საფეხბურთო მაჯისცემა" გუნდისა, რომელსაც ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევენ. არგენტინელებზე მოგახსენებთ. სამშობლოში შინ ნაადრევად მიიღო რუმინელებთან დამარცხებული და გამწარებული, საკუთარი ეროვნული ნაკრები. სამხრეთ ამერიკული ფეხბურთის ტიპიურ წარმომადგენელთა ეს მარცხი ძირითადად, შესაძლებელია, მართლაც განაპირობა დიეგო მარადონას დისკვალიფიკაციამ და კლაუდიო კანიჯას ტრავმამ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს რუმინელ ფეხბურთელთა კარგად ორგანიზებული თამაში გიორგი ჰაჯის ლიდერობით. მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ ჩამოაყალიბა მონოლითური საფეხბურთო ანსამბლი, რომელსაც გააჩნდა კოლექტიური და ინდივიდუალური ოსტატობის შესანიშნავი შერწყმა და მონაცვლეობა.

ფიზიკურად საუცხოოდ მომზადებულ, ათლეტურ და სწრაფ ნიგერიელებთან შეხვედრაში ამავე ეტაპზე არგენტინელთა მწარე ხვედრი შესაძლებელია გაეზიარებინა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს იტალიის ნაკრებს.

რამდენად მძიმეა გუნდისათვის საკუთარ კარში გასული ბურთი, მოედნიდან ყოვლად უსამართლოდ გაძევებული მოთამაშე (ჯან ფრანკო ძოლა), ნიგერიელთა კარში არდანიშნული ნაღდი პენალტი, აშკარად მიკერძოებული მსაჯობა ნიგერიელთა სასარგებლოდ. და აი, როცა უკვე ეჭვი აღარავის ეპარებოდა იტალიელთა დამარცხებაში, ტექნიკური რობერტო ბაჯო მატჩის 89-ე წუთზე ათანაბრებს ანგარიშს, ხოლო დამატებით დროში მასვე წინ გაჰყავს თავისი გუნდი. მან და მწვრთნელმა არიგო საკიმ და გუნდმა შეუძლებელი შეძლეს. იტალიელებმა ორჯერ მოახდინეს სასწაული: ჯერ ფეხბურთელით ჯერ დაამარცხეს ნორვეგიელები, შემდეგ კი ნიგერიელები. „ფეხბურთის ჯადოქრები" ბრაზილიელები მძიმე გამოცდის წინაშე დადგნენ ამერიკელებთან შეხვედრაში. ესეც მერვედფინალში მოხდა. გასაგებია მეტოქეთა ინტერესები — ბრაზილიელები, რომლებიც მსოფლიო საფეხბურთო ფორუმის ყველა დასკვნით ასპარეზობაში მონაწილეობდნენ და ფავორიტებად ითვლებოდნენ, ამერიკელები კი პირველად მასპინძლობდნენ ჩემპიონატს და მედლების მოპოვების შანსიც ეძლეოდათ.

ბრაზილიელებმა თავიანთი ვარსკვლავის ბებეტოს მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით შეძლეს ძნელი გამარჯვების მოპოვება, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოთამაშე ლეონარდო მინდვრიდან გააძევეს. მოკლედ მასპინძლები ღირსეულად დამარცხდნენ ღირსეულ მეტოქეებთან.

ჩემპიონატის ისტორიის მანძილზე მრავალი ბრწყინვალე, ულამაზესი, დაუვიწყარი, რომანტიული მატჩები ჩატარებულა. ასეთთა შორისაა ბრაზილია-ჰოლანდიის ფეხბურთელთა შეხვედრა. ეს იყო ჭეშმარიტად უმაღლესი კლასის ჯენტლმენური ბრძოლის მელოდრამატული ფინალი — მეოთხედფინალში. ვიხილეთ ტექნიკურ სრულყოფაზე დაფუძნებული ოსტატური თამაში, როგორიც ეკადრებოდათ მსოფლიოს სამგზის გამარჯვებულს და ორგზის ვიცე-ჩემპიონს. ბრაზილიელთა სუპერ-დუეტმა რომარიო-ბებეტომ ფეხბურთის უმაღლესი კლასი აჩვენა. ბრანკომ კი გადამწყვეტი გოლი გაიტანა, რითაც დაამტკიცა, რომ ბრაზილიელთა სათადარიგოთა სკამზეც ტყავის ბურთის ჭეშმარიტი ოსტატები სხედან.

სენსაციად თუ რამე შეიძლება ჩაითვალოს, ესაა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებისა და ოთხგზის ვიცე-ჩემპიონების გერმანიის ნაკრების დამარცხება ბულგარელებთან მეოთხედფინალში. სამშობლოში ნაადრევად გაემგზავრნენ უმაღლეს ტიტულზე მეოცნებე ფეხბურთელები, რომლებიც გამოირჩეოდნენ ორგანიზებული, მყაითი, ათლეტური თითქმის წინასწარ დაპროგრამებული, ნებისყოფიანი თამაშით. ეს მოაზროვნე გუნდი დამარცხდა საერთო კლასით მასზე დაბლა მდგომ ბულგარელებთან, თუმც ხრისტო სტოიჩკოვი, ემილ კოსტადინოვი და იორდან ლეჩკოვი მსოფლიო დონის ფეხბურთს თამაშობდნენ. მახვილი თვალი ალბათ შეამჩნევდა, რომ ბერტი ფოგტსის გუნდი ერთი თავითჩამორჩებოდა მის წინამორბედ მწვრთნელთა ნაკრებს.

რაც შეეხება ესპანეთის ნაკრებს, ის ევროპის ჩემპიონიც იყო და ოლიმპიური ჩემპიონიც არის. გუნდს არც ახლა უღალატია ტრადიციული დევიზისათვის. — „ტემპი და ტემპერამენტი". მერვედფინალში შვეიცარიის ძლიერ გუნდთან სოლიდური გამარჯვების შემდეგ, მეოთხედფინალში იტალიის „იღბლიან" გუნდთან ღამარცხდა, თუმც გამარჯვება ვის უფრო ეკუთვნოდა, ჩვენი აზრით, ძნელი სათქმელია..

ვიდრე ფეხბურთის გულშემატკივრები, სპეციალისტები, ჟურნალისტები, კომენტატორები, მწვრთნელები, ამა თუ იმ გუნდის „პოტენციაზე" მსჯელობდნენ „ვიკინგური ფეხბურთის მახვილი" — შვეციის ნაკრები და ძლიერი თამაშით გამორჩეული ბულგარელები უკვე ნახევარფინალში იყვნენ და ბევრი გუნდისათვის სანატრელ III-IV ადგილებს იყოფდნენ.

და, აი ჩემპიონატის დასკვნითი აკორდიც, ფიფას უხუცესი პრეზიდენტის წინ ელვარებს ბაჯაღლო ოქროს თასი. ორივე მონაწილე სამსამჯერ იყო „საფეხბურთო ევერესტზე", ორივე ტექნიკური, ტემპერამენტიანი ფეხბურთის მიმდევარია, ჰყავთ, ფანატიკოს გულშემატკივართა მრავალრიცხოვანი არმია.

ყოველი ახალი მსოფლიო ჩემპიონატი საფეხბურთო ენციკლოპედიის ახალი ტომია და, რა თქმა უნდა, პატივცემულო მკითხველო, ერთ საგაზეთო წერილში ყველა გუნდის დახასიათებას ვერ შევძლებდით. ფეხბურთის ჭეშმარიტი გულშემატკივრის ფანტაზიაც ხომ ამოუწურავია, ოცნება დაუსრულებელი. და მაინც, მოდით ვთქვათ, რომელი წყვილები უფრო დაამშვენებდნენ „საფეხბურთო კოლოკვიუმის" ფინალს?

სხვისი რა მოგახსენოთ, მე კი როგორც ბრაზილიური ფეხბურთის დიდი თაყვანისმცემელი, გულახდილად ვიტყვი: ფინალური ორთაბრძოლა ყველაზე უფრო მეტად ამ ტექნიკურ გუნდებს ეკადრებოდა, ჩემპიონობა კი მას, ვინც ის მოიპოვა.

**ავთანდილ კოჭლამაზაშვილი,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

## კრიმინალური ქრონიკა

● არგენტინის ქალაქ როსარიოში უცნობმა ბოროტმოქმედებმა ააფეთქეს „ნიუელზ ოლდ ბოიზის" მეკარის ნორბერტო სკოპონის ბინა. საბედნიეროდ, ამ დროს არც ფეხბურთელი და არც მისი ოჯახის წევრები შინ არ იყვნენ. დაიწყო გამოძიება. არის ვერსია, რომ აფეთქება მოაწყვეს „რივერ პლეიტის" გულშემატკივრებმა იმის გამო, რომ სკოპონიმ უარი თქვა ამ კლუბში გადასვლაზე. აშშ-ს მსოფლიოს ჩემპიონატზე ნორბერტო სკოპონი სათადარიგო მეკარე იყო.

● მოეწყო შეიარაღებული თავდასხმა „ლანსის" (საფრანგეთი) მეკარე გიიომ ვარმიუზაზე. როგორც გამოირკვა, თავდამსხმელი ყოფილა ფეხბურთის ფანატიკური გულშემატკივარი, 31 წლის ოლივიე ეკერი. სასამართლომ დამნაშავეს მიუსაჯა 4 თვით პატიმრობა (3 თვე პირობით) და საკმაოდ დიდი ფულადი ჯარიმა.

# ვაჟა გოგიაშვილი: «მსოფლიო ჩემპიონატში ორი პრიზიორი 1983 წლის შემდეგ არ გვყოლია»...

(დასაწყისი 1-ლ გვერდზე)

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 1 | - |
| გერმანია | 2 | - | 1 |
| პოლონეთი | 1 | 1 | 1 |
| კუბა | 1 | 1 | - |
| ყაზახეთი | 1 | - | - |
| უკრაინა | - | 1 | 3 |
| ბელარუსი | - | 1 | 1 |
| საქართველო | - | 1 | 1 |
| ბულგარეთი | - | 1 | 1 |
| საფრანგეთი | - | 1 | - |
| ფინეთი | - | 1 | - |
| აზერბაიჯანი | - | 1 | - |
| აშშ | - | - | 1 |
| შვეცია | - | - | 1 |

ახლა უფრო დაწვრილებით ჩვენს მოჭიდავეთა გამოსვლებზე:

ბელა პაპაშვილი (თბილისი, 48 კგ. მწვრთნელები ოთარ ტატიშვილი და შალვა გაფრინდაშვილი). ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა პირველი ბრძოლა იაპონელ კადო ხიროსისთან წააგო საკმაოდ მძაფრ ბრძოლაში. ამის შემდეგ შეძლო ძალების მობილიზება და ზედიზედ ოთხი მეტოქე დაამარცხა — პიოტრ იაბლონსკი (პოლონეთი) — 8:0, სენად მუჰამედოვიჩი (ბოსნია-ჰერცოგოვინა) — 1,54 წუთში, ვიტალი ჩობანი (მოლდოვა) — 6:3 და ბაირამ ოზდემირი (თურქეთი) — 8:3. მართალია ბრინჯაოს მედალი საპატიო პრიზია, მაგრამ გელას ყველა შანსი აქვს უკეთეს შედეგსაც მიაღწიოს.

კობა გულიაშვილი (მარტყოფი, 62 კგ.). პირველ წრეში დამარცხდა უკრაინელ გრიგორი კამიშენკოსთან — 1:6, მერე ზედიზედ მოიგო შეხვედრები პიოტრ ბილევსკისთან (სლოვაკია) — 7:0, კურიმატო ჰიდეაკისთან (იაპონია) — 2,38 წუთში, ალექსანდრე დავიდოვიჩთან (ისრაელი) — 6:0, ნოვრუზ ახმეტოვთან (ყაზახეთი) — 6:1, ამერიკელ ჯეიკ ზუნიგასთან დამარცხდა დამატებით დროში, ისიც იმიტომ, რომ ჩოქბჯენში მეტოქემ წამოდგომა მოახერხა. ბრძოლის დამთავრებამდე 7 წამით ადრე კობამაც შეძლო ჩოქბჯენიდან წამოდგომა, მაგრამ მეტოქესთან კონტაქტში ვერ შევიდა და ილეთი სრულფასოვნად არ შეფასდა. ეს შეხვედრა რომ მოეგო, ჩვენი მოჭიდავე მესამე ადგილისთვის იბრძოლებდა პოლონელ ვლადიმერ ზავადსკისთან, რომელიც ადრე ჰყავდა დამარცხებული და ამის გამო კარგად იცნობდა. კობას ბოლო მოწინააღმდეგე იყო ისევ კამიშენკო, ვისთანაც წააგო პირველი შეხვედრა. ამ ორთაბრძოლაში ჩვენმა მოჭიდავემ ტრავმა მიიღო, ველარ დაამთავრა იგი და საბოლოოდ VI ადგილზე დარჩა.

ხვიჩა ბიჩინაშვილი (სართიჭალა, 74 კგ). შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონს ახალგაზრდებში წლეულს რომ მესამე ადგილი დაიკავა ევროპის პირველობაზე, ეტყობა გამოცდილება აკლია და ამის გამო შეხვედრებს თანაბარი ძალით ვერ ატარებს. ისე, კაცმა რომ თქვას, გამართლებითაც არც გაუმართლა, ვინაიდან სტარტზევე მოზრდილთა შორის შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონს კუბელ ნესტორ ალმანსას შეხვდა და წმინდად (2,33) დამარცხდა. მერე ერთგვარად გამოასწორა მდგომარეობა, მოუგო ნორვეგიელ როი ანდერსონსა (5:0) და ლატვიელ ანდრის სტასკევიჩს (3:0), მაგრამ მეოთხე წრეში შვედ ტორბიორ კორბაკთან ხელი მოეცარა, წმინდად დამარცხდა (2,50) და საბოლოო ჯამში უადგილოდ დარჩა.

მუხრან ვახტანგაძე (ბათუმი, 82 კგ). ამ წონაშიც არაფერი მომხდარა განსაკუთრებული. უფრო სწორად, სიუჟეტი ნაცნობი სქემით განვითარდა. მურმანმა პირველი ბრძოლა ალექსანდრე ჯოვანსევიჩთან (ბოსნია-ჰერცოგოვინა) წააგო (1:5), მომდევნო მეტოქე, ლატვიელი იური ზიგალოვი დაამარცხა (5:0), მაგრამ მესამ წრეში უკრაინელ იგორ ბუგაისთან ხელი მოეცარა (0:7), გამოეთიშა ასპარეზობას და საბოლოოდ უადგილოდ დარჩა.

თენგიზ თედორაძე (ბათუმი, 90 კგ.). ჩვენთვის ყველაზე მოულოდნელი ამ წონაში შარშანდელი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მესამე პრიზიორის წარუმატებელი გამოსვლა იყო. პირველი გამარჯვების შემდეგ (ბერძენ იორდან კონსტანტინიდისთან) თენგიზი შეხვდა კუბელ რენალდო პენას. ბრძოლის ბედი გადაწყდა დამატებით დროში, როცა კუბელმა ერთქულიანი ილეთის ჩატარება მოახერხა. თედორაძემაც სცადა იგივე, მაგრამ მოძრაობა ველარ დაამთავრა და კუბელმა ჩვენი მოჭიდავე სამქულიან ილეთზე გადააგდო. ეს ყველასთვის მოულოდნელი ფინალი იყო.

ბაკურ გოგიტიძე (თბილისი, 100 კგ. მწვრთნელები კაკო თავართქილაძე და ბეგი დარჩია). ახალგაზრდებს შორის შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონისთვის ეს ტურნირი დებიუტი იყო მოზრდილებში, და ამავე დროს, ღირსეული გამოცდაც. ფინალში გასვლამდე ჩვენმა მოჭიდავემ თანმიმდევრობით დაამარცხა: კუბელი ფერნანდო ჯორდანი, მოლდაველი იგორ გრაბოვეცკი (დამატებით დროში), ყაზახეთიდან ვიტალი ლეიკინი (ისიც დამატებითში). მეოთხე წრეში შეხვდა თანამემამულეს გრიგოლ სალდაძეს, რომელიც ამჟამად უკრაინის გუნდის ღირსებას იცავს. აქაც ბრძოლის ბედი დამატებით დროში გადაწყდა. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ თბილისელი მოჭიდავე შეხვედრას, ფაქტობრივად, აგებდა 2:3 და შეხვედრის დამთავრებამე 7 წამით (!) ადრე მეტოქეს სამქულიანი ილეთი აართვა. ამ გამარჯვების შემდეგ გოგიტიძე ფინალში გავიდა. მეორე ჯგუფში კი იმავე უფლებისთვის იბრძოდნენ სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი ანჯეი ვრონსკი (პოლონეთი) და რუსი იბრაჰიმ შავხალოვი. შეხვედრა დამთავრა შავხალოვის გამარჯვებით, ყოველ შემთხვევაში, მსაჯებმა გამარჯვება მას მიაკუთვნეს. პოლონელებს ეს ორთაბრძოლა კულუარებში გაუპროტესტებიათ და როცა გოგიტიძე საბრძოლველად გავიდა, სარბიელზე შავხალოვის ნაცვლად მას ვრონსკი დაახვედრეს. ხდება ასეც! გამოცდილმა პოლონელმა ეს შეხვედრა მოიგო, მაგრამ ბაკურ გოგიტიძისთვის ვერცხლის ჯილდოც, უდავოდ, დიდი წარმატებაა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ „ლელოს" კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს მოჭიდავეთა დელეგაციის ხელმძღვანელი ვაჟა გოგიაშვილი.

**● თავდაპირველად ტრადიციული შეკითხვა ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ერთ-ერთ თავკაცს: ხართ, თუ არა საქართველოს მოჭიდავეთა გამოსვლით კმაყოფილი?**

— მსოფლიოს ჩემპიონატში ორი პრიზიორი 1983 წლის შემდეგ არა გვყოლია. ასე რომ უკმაყოფილო არ უნდა ვიყოთ. შარშან მსოფლიოს ჩემპიონატი მხოლოდ ერთი პრიზიორით დავამთავრეთ. ეს იყო თენგიზ თედორაძე, წლეულს კი, როგორც მოგახსენეთ, ორი გვყავს. ასე რომ, რაღაც პროგრესი დროის ამ მცირე მონაკვეთზეც შეიმჩნევა. სულ სხვა საქმეა შეგვეძლო თუ არა უკეთ გამოსვლა. რა თქმა უნდა, შეგვეძლო, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, გასათვალისწინებელია უამრავი რამ და პირველ რიგში უკიდურესად რთული ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც არა დასამალია, დამღუპველად მოქმედებს სპორტზე.

**● მხედველობაში, ალბათ სპორტსმენთა მზადება და მასთან დაკავშირებული სირთულეები გაქვთ.**

— დიახ, ესეც და სხვა მრავალიც. რაც შეეხება ნამდვილ მზადებას, ამის საშუალება მთელი წლის მანძილზე გვქონდა მხოლოდ ერთხელ ბორჯომში, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის დახმარებითა და ხელშეწყობით. არადა, ასეთი პრესტიჟული შეჯიბრებისთვის მზადება, სულ ცოტა — სამ ეტაპად უნდა ეწყობოდეს და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობასაც გულისხმობდეს. სხვაგვარად ძნელია გაიგო ვინ როგორი ძალისაა და ვინ როგორ არის მომზადებული.

**● ჩემპიონატებზე გამგზავრებას რომ ახერხებთ ეტყობა, ისიც დიდი ამბავია.**

— ამ საქმეში გვეხმარება საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, რომელიც თავადაც მწვავედ განიცდის ვალუტის დეფიციტს.

**● რა ურთიერთობა გაქვთ სპონსორებთან?**

— სპონსორებისა რა მოგახსენოთ, ზოგიერთი ენთუზიასტი კი ამა თუ იმ სპორტსმენს ეხმარება მატერიალურად და ეს, ერთგვარად, გვეუმსუბუქებს მდგომარეობას. აი თუნდაც აჭარის სპორტისა და ტურიზმის მინისტრი ბატონი თენგიზ ხახვა. იგი სისტემატურად აგზავნის შეჯიბრებებზე თითო-ოროლა სპორტსმენს და წლის განმავლობაშიც მათზე გარკვეულ მზრუნველობას იჩენს. ღმერთმა ამრავლოს ასეთი ხალხი სპორტში.

**● ბოლო დროს აშკარად იმატა ემიგრანტთა რიცხვმა ჭიდაობაში. ამაზე რა აზრის ბრძანდებით?**

— ესეც ეკონომიკურ პირობებთან დაკავშირებული პრობლემაა, რომელსაც, ვფიქრობ, დროთა განმავლობაში მოევლება, ყოველ შემთხვევაში, სურვილი მაქვს, რომ ასე მოხდეს.

**● ხომ არ ჩამოგვითვლიდით ემიგრანტთა გვარებს?**

— ამ მსოფლიოს ჩემპიონატში მათი რიცხვი არც ისე დიდი იყო: გოგი კოღუაშვილი — მოსკოვიდან, გრიგოლ სალდაძე — უკრაინიდან, გოჩა ციციაშვილი — ისრაელიდან, ტარიელ შავაძე — ბელორუსიიდან. თუ არ ვცდები, მეტი ქართველი ემიგრანტი ტამპერეში არ ყოფილა.

**● გავიგეთ, რომ რუსეთის ნაკრების უფროს მწვრთნელთან მიხეილ მამიაშვილთან მეგობრული კონტაქტები გქონიათ დამყარებული.**

— ინიციატივა, სხვათა შორის, მისგან მოდის და ჩვენ ამისთვის მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. მამიაშვილმა გელა პაპაშვილს საშუალება მისცა მომზადებულიყო რუსეთის ნაკრების წევრებთან ერთად. ეს დიდი დახმარება იყო.

**● ამბობენ მსოფლიოს ჩემპიონატზე რამდენიმე სპეციალური პრიზი დაარიგესო.**

— მართალია. რუსმა ალექსანდრე კარელინმა მიიღო ყველაზე პოპულარული მოჭიდავის პრიზი. მეორე რუსი, სერგეი მარტინოვი (62 კგ) აღიარეს ჩემპიონატის ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ, ფრანგ იალუზს კი „ოქროს ჩემპიონის" პრიზი გადასცეს.

## ტურნირის ექო

# მონაგარი „ბრინჯაოთი" შეივსო



კრივის მოყვარულთა უმრავლესობა, ალბათ, უკმაყოფილო იქნება სტამბოლის რინგზე ახლახან ჩატარებულ იუნიორთა მსოფლიო პირველობაზე საქართველოს წარგზავნილთა გამოსვლით. რა თქმა უნდა, ჩვენი მოკრივეების ბოლოდროინდელ წარმატებათა ფონზე, მართლაც მწირი შედეგია ეს ერთადერთი ბრინჯაოს მედალი, რომელიც პირველი საშუალო წონის გორელმა მოკრივემ ილია ტლაშაძემ მოიპოვა.

ასეთ მორიდებულ შედეგს არავინ ელოდა, რადგან საქართველომ 9 სპორტსმენი მოავლინა საასპარეზოდ (მათ შორის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, თეთრიწყაროელი ბესიკ ვარძელაშვილი), მაგრამ, თუ ღრმად ჩავიხედავთ ჩვენი კრივის დღევანდელობაში, დავინახავთ, რომ ასეთი შედეგი სავსებით კანონზომიერიცაა.

საქართველოს გუნდში, მართალია, იყვნენ ძლიერი მოკრივეები (ბებნაძე, ოჰანესიანი, ხურცილავა), მაგრამ რესპუბლიკური მასშტაბის ასპარეზობის (რომლის ამარა არიან ახლა ჩვენი სპორტსმენები) გამოცდილება მათ აშკარად არ ეყოთ წარმატებისთვის ისეთ დიდ ტურნირში, როგორიც მსოფლიო პირველობაა. დიახ, „სატურნირო შიმშილმა", რასაც დღეს მწვავედ განვიცდით, თავისი გაიტანა და დიდი დაღი დაასვა ჩვენი ბიჭების გამოსვლას,. ალბათ, ამ მოსაზრებას გაუჩნდებიან ოპონენტები, რომლებიც შემოგვედავებიან: როგორ, ასე ერთი ხელის მოსმით გაქრა ყველაფერი, ბოლო წლებში ქართველი მოკრივეები ხომ აშკარად აღმავლობის გზაზე იდგნენ და თავიანთი სიტყვა თქვეს, თვით ოლიმპიურ თამაშებსა და ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე, სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში? სწორედ ამ შეჯიბრებებში იხვეწებოდა, იძენდა სრულყოფას მათი ოსტატობა და ნებელობა, რაც აშკარად, ამჯერად, არ ეყოთ თურქეთის სარბიელზე მათ მემკვიდრეებს. სხვათა შორის, შეჯიბრებათა „მკვდარმა სეზონმა" ჩრდილში მოაქცია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მოკრივეთა შედეგებიც. მსოფლიო პირველობიდან უმედლებოდ დაბრუნდნენ ახლო წარსულში ისეთი ძლიერი ქვეყნები, როგორიცაა სომხეთი, ლიტვა, ლატვია, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, აზერბაიჯანი და ა.შ. სულ კი სტამბოლის სარბიელზე მონაწილე 51 ქვეყნიდან მხოლოდ 16-ს ხვდა წილად მედალი, 35 საპრიზო ადგილის მიღმა დარჩა. სტამბოლში საქართველოს ნაკრების წევრთა შედეგები:

48 კგ. რამაზ ბებნაძე (გორი, „მართვე") — პირველ ბრძოლაშივე დამარცხდა, დებიუტშივე დამარცხდნენ აგრეთვე: 51. არარატ ოჰანესიანი (თბილისი, „შევარდენი"). 54. მამუკა გრძელიძე (ქუთაისი, „მართვე"), 57. ზაზა ხურცილავა (ფოთი, „შევარდენი"), 60. ბესიკ ვარძელაშვილმა (თეთრი წყარო „მართვე") ჯერ გაიმარჯვა, მეორე ბრძოლაში კი დამარცხდა და დაიკავა მერვე ადგილი. შემდეგ კი პირველი შეხვედრები წააგეს: 63,5. ზვიად ფერაძემ (გურჯაანი, „მართვე"), 67. ზურაბ ბაზაძემ (თბილისი, „შევარდენი"). 75. გიორგი კეკელიძემ (თბილისი, „მართვე").

**უშანგ ჟიჟინაძე**

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.

ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ი. სიდამონიძე, მ. ჯილაური, დ. ჩილინდრიშვილი.

## სპორტული ტელეეკრანი

„ოსტანკინო"

**30 სექტემბერი. 0.10.** ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ვაჟთა შორის. რუსეთი (ნაკრები) — კანადა (ნაკრები).

**1 ოქტომბერი. 0.10.** ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ვაჟთა შორის. რუსეთი (ნაკრები) — საბერძნეთი (ნაკრები).

**2 ოქტომბერი. 22.50.** სპორტული უიქ-ენდი. **0.05.** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. „ტორპედო" (მოსკოვი) — „როტორი" (ვოლგოგრადი). II ტაიმი.

„როსია"

**30 სექტემბერი. 23.30.** სპორტული კარუსელი.

**1 ოქტომბერი. 16.15.** ფეხბურთი უსაზღვრებოდ. **23.30.** სპორტული კარუსელი.

**2 ოქტომბერი. 23.30.** სპორტული კარუსელი.

# საიუბილეო რინგზე

საერთაშორისო ტურნირებს დანატრებული საქართველოს მოკრივეთათვის, რომ იტყვიან, სულის მოთქმა იყო მონაწილეობა აზერბაიჯანის კრივის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ასპარეზობაში, რომელიც ბაქოში გაიმართა. იქ ქართველ და მასპინძელ მოკრივეებთან ერთად მონაწილეობდნენ ირანის, თურქეთისა და დაღესტნის წარმომადგენლები. ხუთივე ჩვენი მოკრივე ტურნირზე „ბრინჯაოს" პრიზიორი გახდა. განსაკუთრებით უნდა ითქვას გიორგი კაპანაძის (63,5 კგ) გამოსვლაზე. მან პირველი შეხვედრის პირველსავე წუთზე ნოკაუტით სძლია მასპინძელ ელშან ნაზიევს, ნახევარფინალში კი დათმო შეხვედრა მეორე მასპინძელთან, ვალენტინ დანილოვთან, რომელმაც გაიმარჯვა ამ ტურნირში. თავი ისახელა, აგრეთვე, თელაველმა მამუკა ხუტუაშვილმა (71), პირველ დღეს მან სძლია დაღესტნელ ალექსანდრ რამაზანოვს, მეორე დღეს კი დამარცხდა სუმგაითელ ადალეტ აგიევთან. ამავე წონაში პრიზიორი გახდა ცხინვალელი დავით ქრისტესიაშვილი, ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ, აგრეთვე, სენაკელ თენგიზ ჭმუხაძეს (48) და გურჯაანელ ალექსანდრე ბეროშვილს (91).

ეს ინფორმაცია მოგვაწოდა საქართველოს მოკრივეთა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა სერგო ბერძენიშვილმა, რომელიც ასპარეზობაზე ახლდა გუნდს.

# ვახტანგ ქარსელაძის მემორიალი

ცნობილი ქართველი მოჭადრაკის, მწვრთნელისა და აღმზრდელის ვახტანგ ქარსელაძის ხსოვნას მიეძღვნა მემორიალური ტურნირი, რომელიც ამას წინათ გაიმართა. შეჯიბრება მოეწყო შვეიცარიული სისტემით, მასში მონაწილეობდა 16 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა 28 გუნდი.

ტურნირი მეტად საინტერესო გამოდგა, გამარჯვება მოიპოვა „ვახტანგის" გუნდმა, რომლის მწვრთნელია ალექსანდრე ბოკუჩავა. გამარჯვებულთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ მიხეილ მჭედლიშვილი, ალექსანდრე ქასრაშვილი, პარმენ მალაზონია და ეკა ჯავახაშვილი. II ადგილი დაიკავა „რამაიანამ" (მწვრთნელი ბაგრატ გვენცაძე), რომელიც პირველ პრიზიორს სულ ერთი ქულით ჩამორჩა. III ადგილზეა „აისი-1" (მწვრთნელი მიხეილ ჭიპაშვილი).

არგენტინის საინფორმაციო სამსახურის ცნობით დიეგო მარადონა ღრმა დეპრესიაშია. ექიმები არ გამორიცხავენ ტრაგიკულ ფინალს. „ბოკა ხუნიორსის" ყოფილი ფსიქოლოგის ოსკარ მაციონეს თქმით, დიეგომ დაკარგა ცხოვრების გემო, რასაც მას ფეხბურთი აძლევდა. ახლა დიეგოს სჭირდება ხანგრძლივი და სერიოზული მკურნალობა, აგრეთვე, იმ ხალხის მხარდაჭერა, ვისთანაც ახლო ურთიერთობა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ავიაკომპანია „ეარ-ჯორჯია"-ს გენერალურ დირექტორს დემურ ლელაძეს შვილის

ბია ლელაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დეპარტამენტის საფინანსო-საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს უფროსს ვახტანგ ვაშაკიძეს მამის გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში"